

ზესტაფონის რაიონული სასამართლოს
მოსამართლეს ბატონ გ-ქ-ს

მოსარჩელების - ა. ვ. თ. ც. და
ნ. ბ.-ს (საქმე 43/8) სარჩელთან დაკავშირებით

სასამართლო მეგობრის (Amicus Curiae) მოსაზრება

*წარმოდგენილია საქართველოს კონსტიტუციის 43-ე მუხლის მეორე პუნქტის,
„საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-
12 მუხლისა და 21-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტის, ასევე „დისკრიმინაციის ყველა ფორმის
აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტის
შესაბამისად*

ბატონო გ.ქ,

2015 წლის 16 იანვარს საქართველოს სახალხო დამცველს განცხადებით მომართა ამხანაგობა „კ. ს. კ.“-ს წარმომადგენელმა, მ. ც.-მ და სთხოვა სახალხო დამცველს სასამართლოს მეგობრის სტატუსით ჩართვა ზემოთმითითებულ ადმინისტრაციულ საქმეში.

მათ მიერ წარმოდგენილი მასალებიდან იკვეთება, რომ არარეგისტრირებულ კავშირ „თ“-ს მიენიჭა უფლებამოსილება, ქ. თერჯოლაში, განეხორციელებინა სამშენებლო სამუშაოები. არარეგისტრირებული კავშირი „თ“-ს წარმომადგენლები ა. ვ. თ. ც. და ნ. ბ. არიან რელიგიური ორგანიზაცია „იეჰოვას მოწმეთა“ მიმდევრები.

კავშირის წარმომადგენლებმა მათ საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე საცხოვრებელი სახლის მშენებლობა 2014 წლის მაისში დაიწყეს, რამაც ადგილობრივი მოსახლეობის მხრიდან პროტესტი გამოიწვია.

თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის, 2014 წლის 03 ივნისის ბრძანების თანახმად, შეჩერდა მშენებლობის ნებართვა, რასაც საფუძვლად დაედო ქ.

თერჯოლაში, მცხოვრები კ. მ.-ს განცხადება, რომლის თანახმად, მიმდინარე მშენებლობა საფრთხეს უქმნიდა მის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთისა და საავტომობილო გზების მთლიანობას, ასევე საავტომობილო გზების მდგრადობას. არარეგისტრირებულ კავშირ „თ“-ს დაევალა საინჟინრო - გეოლოგიური დასკვნის წარდგენა.

2014 წლის 03 ივლისს თერჯოლის მუნიციპალიტეტის გამგეობაში კ. მ.-ს ადმინისტრაციულ საჩივართან დაკავშირებით ჩატარდა ზეპირი განხილვა. წარდგენილ იქნა გეოლოგიური გამოკვლევის შედეგები ერთ სართულიანი ნაგებობის მშენებლობასთან დაკავშირებით, სადაც აღნიშნულია, რომ „საკვლევ ტერიტორია, სადაც გათვალისწინებულია ერთსართულიანი ნაგებობის მშენებლობა, იმყოფება დამაკმაყოფილებელ პირობებში და არ შეინიშნება უარყოფითი ფიზიკურ-გეოლოგიური მოვლენები“.

თერჯოლის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2014 წლის 10 ივლისის N185 ბრძანების თანახმად, ამავე მუნიციპალიტეტის გამგეობის მიერ დამატებით დაინიშნა მიწის ნაკვეთის საინჟინრო-გეოლოგიური ექსპერტიზა. სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს“ 2014 წლის 30 სექტემბრის დასკვნის თანახმად, „ქ. თერჯოლაში მისამართზე (.....) საცხოვრებელი სახლის აშენება ამავე ქუჩაზე მდებარე ი. ც-სა და კ. მ.-ს საცხოვრებელ სახლებზე უარყოფით ზეგავლენას არ მოახდენს და მათ მდგრადობას საფრთხეს არ შეუქმნის“

აღნიშნული დასკვნის მიღების შემდეგაც, არ გაგრძელებულა მშენებლობის ნებართვა.

გამომდინარე იქიდან, რომ აღნიშნულ საქმეში შეიძლება გამოიკვეთოს რელიგიური ნიშნით დისკრიმინაციული მოპყრობა, სახალხო დამცველმა გადაწყვიტა, რომ წარუდგინოს საქმის განმხილველ სასამართლოს სასამართლოს მეგობრის მოსაზრება (Amicus Curiae).

სასამართლო მეგობრის მოსაზრება მიზნად არ ისახავს რომელიმე მხარის პოზიციის მხარდაჭერას და იგი მხოლოდ და მხოლოდ ახდენს იმ სტანდარტის იდენტიფიცირებას, რომელიც დადგენილია ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს სამართალწარმოების პრაქტიკით მსგავს საქმეებზე.

1. სასამართლო მეგობრის (Amicus Curiae) მოსაზრებით მომართვის უფლებამოსილება

საქართველოს კონსტიტუციის 43-ე მუხლის მეორე პუნქტის მიხედვით:

„სახალხო დამცველი უფლებამოსილია გამოავლინოს ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დარღვევის ფაქტები, შეატყობინოს ამის შესახებ შესაბამის ორგანოებსა და პირებს.“

„საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-14¹ მუხლის და „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მიხედვით:

„დისკრიმინაციის აღმოფხვრისა და თანასწორობის უზრუნველყოფაზე ზედამხედველობას ახორციელებს საქართველოს სახალხო დამცველი.“

„საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 21-ე მუხლის „ე“ პუნქტის თანახმად:

„საქართველოს სახალხო დამცველი უფლებამოსილია ცალკეულ შემთხვევებში შეასრულოს სასამართლოს მეგობრის (Amicus Curiae) ფუნქცია საერთო სასამართლოებსა და საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში.“

2. დისკრიმინაციის ცნება და განსხვავებული მოპყრობის დასაბუთებულობა სარჩელში მოყვანილი ფაქტობრივი გარემოებების შუქზე

„დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლის შესაბამისად, ამ კანონის მიზანია დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრა და ნებისმიერი ფიზიკური და იურიდიული პირისათვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი უფლებებით თანასწორად სარგებლობის უზრუნველყოფა.

იმავე კანონის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად პირდაპირი დისკრიმინაცია არის ისეთი მოპყრობა ან პირობების შექმნა, რომელიც პირს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი უფლებებით სარგებლობისას ამ კანონის პირველი მუხლით გათვალისწინებული რომელიმე ნიშნის გამო არახელსაყრელ მდგომარეობაში აყენებს ანალოგიურ პირობებში მყოფ სხვა პირებთან შედარებით ან თანაბარ მდგომარეობაში აყენებს არსებითად უთანასწორო პირობებში მყოფ პირებს, გარდა ისეთი შემთხვევისა, როდესაც ამგვარი მოპყრობა ან პირობების შექმნა ემსახურება საზოგადოებრივი წესრიგისა და ზნეობის დასაცავად კანონით

განსაზღვრულ მიზანს, აქვს ობიექტური და გონივრული გამართლება და აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში, ხოლო გამოყენებული საშუალებები თანაზომიერია ასეთი მიზნის მისაღწევად.

იმავე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, ირიბი დისკრიმინაცია არის ისეთი მდგომარეობა, როდესაც ფორმით ნეიტრალური და არსით დისკრიმინაციული დებულება, კრიტერიუმი ან პრაქტიკა პირს ამ კანონის პირველი მუხლით გათვალისწინებული რომელიმე ნიშნის გამო არახელსაყრელ მდგომარეობაში აყენებს ანალოგიურ პირობებში მყოფ სხვა პირებთან შედარებით ან თანაბარ მდგომარეობაში აყენებს არსებითად უთანასწორო პირობებში მყოფ პირებს, გარდა ისეთი შემთხვევისა, როდესაც ამგვარი მოპყრობა ან პირობების შექმნა ემსახურება საზოგადოებრივი წესრიგისა და ზნეობის დასაცავად კანონით განსაზღვრულ მიზანს, აქვს ობიექტური და გონივრული გამართლება და აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში, ხოლო გამოყენებული საშუალებები თანაზომიერია ასეთი მიზნის მისაღწევად.

აღნიშნული მუხლების შინაარსიდან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ დისკრიმინაცია სახეზეა, როდესაც პირს ხელი ეშლება *საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებებით სარგებლობისას, არსებობს განსხვავებული მოპყრობა ანალოგიურ პირობებში მყოფი პირების მიმართ, არ არსებობს კანონით განსაზღვრული მიზანი, განსხვავებულ მოპყრობას არ აქვს ობიექტური და გონივრული გამართლება და იგი დასახული მიზნის არათანაზომიერია.*

იგივე პრინციპი გამომდინარეობს ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოს პრეცედენტული სამართლიდანაც. ევროპის სასამართლოს განმარტებით, იმისათვის, რომ საკითხი მოექცეს კონვენციის მე-14 მუხლის ქვეშ, აუცილებელია, რომ *განსხვავებული მოპყრობა არსებობდეს ანალოგიურ ან მსგავს სიტუაციაში მყოფი პირების მიმართ.* განსხვავებული მოპყრობა დისკრიმინაციულია თუ მას არა აქვს ობიექტური და გონივრული გამართლება, ე.ი. არ ისახავს კანონიერ მიზანს და არ არსებობს პროპორციულობის გონივრული კავშირი გამოყენებულ საშუალებებსა და დასახულ მიზანს შორის.¹

¹ Eweida and others v. United Kingdom, application nos: 48420/10, 59842/10, 51671/10 and 36516/10, 15/01/2013, § 87-88; Burden v. United Kingdom, application no: 13378/05, 29/04/2008, § 60;

კანონით გათვალისწინებული უფლებით სარგებლობასთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს კონსტიტუციის მე-19 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, ყოველ ადამიანს აქვს სიტყვის, აზრის, სინდისის, აღმსარებლობისა და რწმენის თავისუფლება.

ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის მე-9 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, ყველას აქვს უფლება აზრის, სინდისისა და რელიგიის თავისუფლებისა; ეს უფლება მოიცავს რელიგიის ან რწმენის შეცვლის თავისუფლებას და აგრეთვე, თავისუფლებას, როგორც ინდივიდუალურად, ისე სხვებთან ერთად, საქვეყნოდ ან განკერძოებით, გააცხადოს თავისი რელიგია თუ რწმენა აღმსარებლობით, სწავლებით, წესების დაცვითა და რიტუალების აღსრულებით.

იმავეს იმეორებს სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის მე-18 მუხლის პირველი პუნქტი.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განმარტებით, რელიგიის თავისუფლება დემოკრატიული საზოგადოების ფუნდამენტს წარმოადგენს. იგი, თავისი რელიგიური მნიშვნელობიდან გამომდინარე, არა მარტო მორწმუნეთა პიროვნებისა და მათი ცხოვრების არსის განმსაზღვრელი უმნიშვნელოვანესი ელემენტია, არამედ ათეისტების, აგნოსტიკოსების, სკეპტიკოსებისა და რელიგიისადმი ინდიფერენტული დამოკიდებულების მქონეთა უმვირფასესი საკუთრებაცაა². გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტის განმარტებით კი მისი მოქმედება არ შემოიფარგლება მხოლოდ ტრადიციული რელიგიებით და რწმენებით³.

ევროპულმა სასამართლომ ასევე აღნიშნა, რომ კონვენციის მე-9 მუხლი იცავს როგორც უფლებას გწამდეს, ასევე რელიგიის გამოხატვის უფლებას, რომელიც სხვადასხვა ფორმით ვლინდება, მაგალითად, აღმსარებლობით, სწავლებით, წესების დაცვითა და რიტუალების აღსრულებით.⁴ რელიგიის გამოხატვის უფლება კი ასევე მოიცავს რელიგიური რიტუალებისთვის შენობა-ნაგებობის აშენების უფლებას. ევროპულმა სასამართლომ კონვენციის მე-9 მუხლის დაღვევად მიიჩნია

² Kokkinakis v. Greece, application. no. 14307/88, 25/05/1993, § 31; Buscarini and Others v. San Marino, application. no. 24645/94, 18/02/1999, § 34

³ გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტი, ზოგადი კომენტარები და რეკომენდაციები 22, § 2, U.N. Doc. HRI/GEN/1/Rev.1 at 35 (1994), ხელმისაწვდომია ვებ გვერდზე: <http://www1.umn.edu/humanrts/gencomm/hrcom22.htm>

⁴ Metropolitan Church of Bessarabia and Others v. Moldova, application. no. 45701/99, 27/03/2002, § 114

საბერძნეთში იეღოვას მოწმეებისთვის რელიგიური რიტუალებისთვის განკუთვნილი შენობის გახსნის აკრძალვა.⁵ სასამართლომ ასევე ხაზი გაუსვა იმ ფაქტს, რომ რელიგიური ორგანიზაციების უფლება დაარსოს რელიგიური რიტუალების ჩატარების ადგილები და საჯაროდ ჩაატაროს რელიგიური რიტუალები არის კონვენციის მე-9 მუხლით დაცული უფლება.⁶

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, განსახილველ საქმეში სამლოცველოს აშენების უფლება მოსარჩელეთა რწმენისა და რელიგიის გამოხატვის უფლების შემადგენელი ნაწილია და შესაბამისად კანონით გათვალისწინებული უფლებაა.

იმის დასადგენად, ჰქონდა თუ არა ადგილი დისკრიმინაციას, ასევე უნდა განისაზღვროს მოხდა თუ არა, მოსარჩელეთა მიერ რელიგიის გამოხატვის უფლებით სარგებლობის დროს, განსხვავებული მოპყრობა მსგავს სიტუაციაში მყოფ პირებთან შედარებით.

განსახილველ შემთხვევაში, მსგავს სიტუაციაში იმყოფება ყველა ის პირი, რომელმაც მოიპოვა მშენებლობის ნებართვა ადმინისტრაციული ორგანოსგან.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 363³-ე მუხლი მტკიცების ტვირთს ანაწილებს მოსარჩელესა და მოპასუხეზე და მოპასუხესაც აკისრებს იმის მტკიცებას, რომ დისკრიმინაცია არ განხორციელებულა.

შესაბამისად, სასამართლომ ადმინისტრაციულ ორგანოს უნდა დააკისროს ამტკიცოს, რომ მშენებლობის შეჩერება, ფაქტებში მითითებული საფუძველით, არის კანონიერი და რომ მას მხოლოდ მოსარჩელეთა მიმართ არ ჰქონია ადგილი.

ამასთან, სასამართლომ, საქმეში არსებულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით, უნდა გამოიკვლიოს და შეაფასოს, ადმინისტრაციული ორგანოების მიერ მშენებლობის ნებართვის შესაჩერებლად მითითებული ფორმალური საფუძველი, არის თუ არა მშენებლობის შეჩერების რეალური მიზეზი, თუ მისი მითითება მოხდა ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მხოლოდ იმ მიზნით, რომ შეენიღბა რეალური განზრახვა, რაც არის იეჰოვას მოწმეთათვის სამლოცველოს აშენების ხელშეშლა და რელიგიის გამოხატვის უფლების შეზღუდვა.

თუ დადასტურდება ის ფაქტი, რომ მშენებლობის შეჩერებას და აკრძალვას იმავე საფუძველით ადგილი ჰქონდა მხოლოდ მოსარჩელეთა მიმართ და მხოლოდ იეჰოვას

⁵ Manoussakis v. Greece, application. no. 18748/91, 26/09/1996, § 53

⁶ Jehovah's Witnesses of Moscow v. Russia, application. no. 302/02, 10/06/2010, § 102

მოწმეების მიერ მიღებული მშენებლობის ნებართვის ფარგლებში, ასევე მშენებლობის შეჩერების რეალური მიზეზი სწორედ მათი რელიგიის გამოხატვის უფლების შეზღუდვა იყო, ადგილი ექნება განსხვავებულ მოპყრობას, რომელიც რელიგიური მოტივით ხორციელდება.

აღნიშნული განსხვავებული მოპყრობა კი, როგორც ზემოთ იყო აღნიშნული მხოლოდ იმ შემთხვევაში ჩაითვლება კანონიერად თუ არსებობს კანონით განსაზღვრული მიზანი, მას აქვს ობიექტური და გონივრული გამართლება და იგი დასახული მიზნის თანაზომიერია.

ამ შემთხვევაშიც, სასამართლომ ადმინისტრაციულ ორგანოს უნდა დააკისროს ამტკიცოს, რომ იგი კანონიერი მიზნის მისაღწევად მოქმედებდა.

თუ ადმინისტრაციული ორგანო მიუთითებს, რომ მშენებლობის შეჩერება განხორციელდა საზოგადოებრივი წესრიგის, ზნეობის თუ სხვათა უფლებების და თავისუფლებების დასაცავად, მან კონკრეტულად უნდა ამტკიცოს, როგორ დაარღვევს სამლოცველოდ გამოყენებული ერთი შენობა საზოგადოებრივ წესრიგს, როგორ შელახავს ზნეობას და როგორ შეზღუდავს სხვათა უფლებებს და თავისუფლებებს.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ სახელმწიფომ უნდა მოარიგოს სხვადასხვა ჯგუფების ინტერესები ერთმანეთს⁷, რათა ნეიტრალურად და მიუკერძოებლად დაიცვას მორწმუნეთა შორის სოციალური მშვიდობა და ურთიერთგაგება. სწორედ ნეიტრალიტეტზე და მიუკერძოებლობაზეა დამოკიდებული ქვეყნის დემოკრატიულობა და პლურალიზმი.⁸ სასამართლო აღნიშნავს, რომ ქვეყანას არ აქვს იმის დისკრეციული უფლებამოსილება შეამოწმოს თუ რამდენად ლეგიტიმურია ადამიანთა რწმენა ან საშუალებები რითიც ის გამოიხატება.⁹ სახელმწიფოს როლი ის კი არ არის, რომ პლურალიზმის გაუქმებით აღმოფხვრას სხვადასხვა ჯგუფებს შორის დაძაბულობის მიზეზი, არამედ ხელი შეუწყოს, რომ ამ ჯგუფებმა ერთად თანაცხოვრება შეძლონ.¹⁰

⁷ Kokkinakis v. Greece, application no: 14307/88, 25/05/1993, § 33

⁸ Metropolitan Church of Bessarabia and Others v. Moldova, no. 45701/99, §§ 115-16

⁹ Manoussakis v Greece, App. no. 18748/91, 26/09/1996, § 47

¹⁰ Serif v. Greece, application no: 38178/97, 14/12/1999, § 53;

ევროპულმა სასამართლომ, სხვადასხვა უფლებებთან მიმართებაში, არაერთგზის მიიჩნია გაუმართლებლად, საზოგადოების ზნეობრივი ნორმების თუ საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მიზნით განხორციელებული შეზღუდვა თუ განსხვავებული მოპყრობა.

მაგალითად, ევროპულმა სასამართლომ არაპროპორციულად მიიჩნია მოლდოვის სახელმწიფოს მითითება, იმის შესახებ რომ მან ეკლესიის რეგისტრაციაზე უარი განაცხადა იმ მიზნით, რომ საზოგადოებრივი წესრიგი და მორწმუნეთა შორის სოციალური მშვიდობა უზრუნველყო.¹¹

ერთ-ერთ საქმეში, რუსეთის სახელმწიფო აპელირებდა, რომ მომჩივანთათვის ეკლესიის დარეგისტრირების, სამლოცველოს გახსნის, საბანკო ანგარიშების გახსნის, დასაქმებულების აყვანის შეზღუდვა გამართლებული იყო, რადგან მოსარჩელე ორგანიზაცია მავნე ზეგავლენას ახდენდა ადამიანების ცნობიერებაზე და უარყოფითად განაწყობდა ხალხს სხვა რელიგიების მიმართ. სასამართლომ აღნიშნულიც არაპროპორციულად მიიჩნია.¹²

სასამართლომ, განსახილველ საქმეში უნდა შეაფასოს თუ რა რეალურ მიზანს ისახავდა მოსარჩელეთათვის მშენებლობის აკრძალვა და რამდენად იყო პროპორციული რელიგიის უფლების შეზღუდვა დასახული მიზნის. სასამართლომ ასევე უნდა გამოიკვლიოს რეალურად ემსახურებოდა თუ არა საზოგადოებრივი წესრიგის და ზნეობის დაცვას მოსარჩელეთა მიმართ განხორციელებული განსხვავებული მოპყრობა, თუ ეს იყო მხოლოდ და მხოლოდ კონკრეტული, უმრავლესობაში მყოფი პირების სურვილი და გავლენა, რომ მარგინალიზირებულ სიტუაციაში ჩაეყენებინა უმცირესობაში მყოფნი.

გამომდინარე იქიდან, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს სამართალწარმოების პრაქტიკა სავალდებულო ძალის მატარებელია საქართველოს სახელმწიფოსთვის, სასამართლომ სამართალშეფარდება უნდა განახორციელოს ზემოაღნიშნული პრინციპებისა და სამართალწარმოების პრაქტიკით დადგენილი

¹¹ Metropolitan Church of Bessarabia and Others v. Moldova, App. no. 45701/99, 27/03/2002, § 114

¹² Jehovah's Witnesses of Moscow v. Russia, App. no. 302/02 , 10/06/2010, § 102

რეგულაციების დაცვით, რათა უზრუნველყოფილ იქნას დისკრიმინაციის გარეშე აზრის, სინდისისა და რელიგიის თავისუფლების რეალიზება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვხელმძღვანელობ რა „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-12 მუხლით, 21-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტის, ასევე “დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ” საქართველოს კანონის მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტით, მიზანშეწონილად მიმაჩნია, მოგმართოთ სასამართლო მეგობრის (Amicus Curiae) მოსაზრებით. აქვე გაცნობებთ, რომ გამოვთქვამთ მზადყოფნას საქმის არსებით განხილვაზე ზეპირი განმარტების მისაცემად.

პატივისცემით,